ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3345009

ნომერი: AR1516370

თარიღი : 21.06.2017

გაცემის თარიღი : 22.06.2017

გაცნობის თარიღი : 22.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა მერაბიშვილი პ/ნ 01017039677
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 12 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 ივნისის №AR1516370 განაცხადით მომართა ნიკა მერაბიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ქუჩა ბაღდადის , N 4ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 6, შპს "დემაქს ისანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.17.12.025.015), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3263115 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ქუჩა ბაღდადის , N 4ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 4 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 6, შპს "დემაქს ისანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.17.12.025.015), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 19 მაისიდან 2019 წლის 19 აპრილის ჩათვლით.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 8838.4 კვ.მ-ის ნაცვლად 9185.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართად 2247.8 კვ.მ -ის ნაცვლად 2634.3 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1131.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1130.6 კვ.მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 14986.4 კვ.მ-ის ნაცვლად 15719.9 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა სათანადო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტს და განმცხადებლის მოთხოვნა აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საცხოვრებელ ფართობად 9185.8 კვ.მ, საზაფხულო ფართად 2634.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1130.6 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობად 15719.9 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3222187 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.